დავით ანდღულაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
davit.andguladze230@hum.tsu.edu.ge

უკრაინის ომის გავლენა ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობებზე

რეზიუმე

ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობების ისტორია უკვე რამდენიმე საუკუნეს ითვლის და, უნდა ითქვას, რომ ეს ურთიერთობები არასოდეს არ ყოფილა ცალსახად მეგობრული ან პარტნიორული. მართალია, თანამედროვე მსოფლიოში ჩინეთი და რუსეთი, ოფიციალურ დონეზე ხშირად საერთო პოზიციებზე დგანან და, თითქოს, საერთო ღირებულებებსაც იზიარებენ, მაგრამ რეალობა ბევრად უფრო კომპლექსურია.

2014 წელს რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიების მიტაცებამ და 2022 წლის თებერვალში დაწყებულმა ომმა დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობებში სერიოზული ბზარი გააჩინა. სანქციებმა აიძულა რუსეთი ალტერნატიული ბაზრისა და პარტნიორების ძიება დაეწყო, რითიც შესანიშნავად სარგებლობს ჩინეთი, რომელიც აქამდე რუსეთში პოტენციურ საფრთხედ აღიქმებოდა. დასავლური წნეხი სულ უფრო მეტად აიძულებს რუსეთის ეკონომიკას, და არა მხოლოდ ეკონომიკას, აღმოსავლურ ბაზარზე გადაწყობას. ამ ვითარებაში რუსეთს უწევს ჩინეთის მოთხოვნებისა და შეთავაზებების მაქსიმალური გათვალისწინება, რაც, ხშირად, ეკონომიკური ინტერესებისთვისაც კი არათუ სასარგებლო არაა, არამედ საზიანოა.

თავის მხრივ, საერთაშორისო პლატფორმებზე ჩინეთი ან უშუალოდ უჭერს რუსეთს მხარს, ან რუსეთისთვის სასარგებლო დუმილსა და ნეიტრალიტეტს ამჯობინებს.

წინამდებარე სტატიაში აღწერილია ჩინურ-რუსული ურთიერთობების ძირითადი ვექტორები უკრაინის ომის ფონზე.

საკვანძო სიტყვები: ჩინეთი, რუსეთი, საერთაშორისო ურთიერთობები, სი ძინფინგი, პუტინი.

ოცდამეერთე საუკუნე ჩინეთისა და რუსეთის ურთიერთობებში სერიოზული პოზიტიური ძვრებით დაიწყო. ახლადარჩეული პრეზიდენტი პუტინი პირდაპირ ამბობდა, რომ რუსეთი ევროაზიული სახელმწიფოა და აზიასთან, კერძოდ, ჩინეთთან ურთიერთობის გაღრმავება მისი ერთ-ერთი პრიორიტეტია (Путин 2000). 2001 წელს შეიქმნა შანგხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, ხოლო 2004 წელს რუსეთი და ჩინეთი საბოლოოდ შეთანხმდნენ სასაზღვრო ზოლის დემარკაციაზე, რითიც მრავალწლოვანი პრობლემა გადაჭრეს; ხელი მოეწერა სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვ. მნიშვნელობის მქონე დოკუმენტებს და ა.შ. მიუხედავად ამისა, რუსეთი ძირითად პარტნიორად მაინც დასავლეთს განიხილავდა და კურსიც შესაბამისი ჰქონდა, რაც პეკინში არ მოსწონდათ. ჩინეთი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა გლობალური მასშტაბის საერთაშორისო-პოლიტიკურ აქტორს და რუსეთთან ურთიერთობა აშშ-ის დაბალანსების მიზნით მათთვის მნიშვნელოვანი იყო. „სინხუას“ სააგენტოს ერთ-ერთი ექსპერტი მაშინ წერდა: „...რუსეთმა აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობის ურთიერთობებში შესვლით ბევრი დაკარგა და ცოტა მიიღო. აშშ-მა არ გაითვალისწინა ის, რომ რუსეთი ერაყში ომის დაწყების წინააღმდეგი იყო, კიდევ უფრო შეავიწროვეს რუსული სტრატეგიული სივრცე. ამიტომ, ომის შემდეგ რუსეთი, მართალია, ინარჩუნებ-

და აშშ-თან „სტრატეგიული პარტნიორობის ურთიერთობებს“, მაგრამ არ მოისურვა გამხდარიყო ვაშინგტონის „უმცროსი პარტნიორი“. აშშ-თან კონტაქტისას საკუთარი წონის მოსამატებლად რუსეთისთვის აუცილებელია ჩინეთთან ურთიერთობების გაძლიერება“ (ვანგ 2010).

იმდროინდელი რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში და საზოგადოებაშიც ჩინეთისადმი გარკვეული უნდობლობა დომინერებდა. მართალია, სასაზღვრო პრობლემა ოფიციალურად მოგვარდა, მაგრამ, როგორც ჩანს, რუსეთში ჯერ კიდევ ახსოვდათ ტენგ სიაოფინგის[1] სიტყვები, რომლებიც მან 1989 წლის მაისში, მ. გორბაჩოვთან შეხვედრისას წარმოთქვა: „ყველაზე მეტად ჩინეთში ორმა ქვეყანამ: იაპონიამ და მეფის რუსეთმა იხეირა, ხოლო დროის კონკრეტულ პერიოდში კი საბჭოთა კავშირმა. ტენგმა ასევე გაიხსენა მაო წეტუნგის სიტყვები იმის შესახებ, რომ რუსეთმა მიიტაცა 1.5 მლნ კვ. კმ ჩინური ტერიტორია...” (Бажанов 2013, 286).

ჩინეთის სწრაფმა განვითარებამ აიძულა რუსეთი მორატორიუმი დაეწესებინა უახლესი იარაღით ვაჭრობაზე, ასევე შეიზღუდა ჩინეთის მონაწილეობა ციმბირის ენერგეტიკულ და სხვა პროექტებში და ა.შ. ვითარება შეცვალა ჯერ 2008 წლის გლობალურმა ეკონომკიურმა კრიზისმა, ხოლო შემდეგ 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ, რომელსაც რუსეთის ეკონომიკისათვის მძიმე სანქციები ახლდა თან. შედეგად, რუსეთმა გამოაცხადა ე.წ. *მიბრუნება აღმოსავლეთისკენ* [2] და იძულებული გახდა მეტად დაახლოებოდა ჩინეთს, ხოლო ჩინეთმა, თავის მხრივ, ისარგებლა არსებული სიტუაციით და თავისთვის მაქსიმალურად მომგებიანი კონტრაქტები გააფორმა.

მაგალითად, 2014 და 2015 წლებში მოსკოვში გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით ჩინეთი რუსეთისაგან ყიდულობდა სუ-35-ს, ასევე ს-400 საზენიტო-სარაკეტო დანადგარებს[3]. გარდა ამისა, 2016 წელს, ქალაქ ხანგჭოუში დიდი ოცეულის შეხვედრაზე სი ძინფინგმა სურვილი გამოთქვა რუსეთთან სამხედრო ურთიერთობის გაღრმავების შესახებ, რასაც მოჰყვა ორმხრივი და მრავალმხრივი (შანგხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ფორმატში) სამხედრო წვრთნები[4], რომელთა მსვლელობისას ჩინელი სამხედროები დაშვებულნი იყვნენ ისეთ სტრატეგიულ ობიექტებზე, სადაც იქამდე წვდომა არ ჰქონიათ (Li and Poh 2019, 30).

რუსეთისა და ჩინეთის ურთიერთობების განსაკუთრებულობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ვლადიმერ პუტინი იყო პირველი უცხოელი ლიდერი რომელსაც სი ძინფინგი შეხვდა პანდემიის შემდეგ. რუსეთის პრეზიდენტი დაესწრო პეკინის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიას. შეხვედრის შემდეგ, 4 თებერვალს გამოქვეყნდა საერთო განცხადება, რომელიც ეხებოდა ორივე მხარისათვის მნიშვნელოვან ყველა საკვანძო საკითხს. კერძოდ, უსაფრთხოებას, მდგრად განვითარებას, ჯანდაცვას, კიბერუსაფრთხოებას, კლიმატის ცვლილებას, ტერიტორიულ მთლიანობას, თანამშრომლობას, ბიოლოგიურ იარაღს და ა.შ. ხაზი გაესვა იმას, რომ *ძალები, რომლებიც საერთაშორისო ასპარეზზე უმცირესობას წარმოადგენენ* აგრძელებენ სხვა ქვეყნების შიდა საკითხებში ჩარევას და მათთვის უცხო ღირებულებათა სისტემის თავს მოხვევას; რუსეთმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თაივანი არის ჩინეთის განუყოფელი ნაწილი; მხარეებმა შეშფოთება გამოთქვეს NATO-სა და AUKUS-ის მოქმედებების შესახებ, რომლებიც პოტენციურ საფრთხეს უქმნიან შესაბამისი რეგიონების სტაბილურობას; მხარეებმა დაადასტურეს, რომ მხარს უჭერენ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიო წესრიგსა და მრავალპოლუსიანობის პრინციპს; აღინიშნა ისიც, რომ *მხარეები მტკიცედ დაგმობენ ქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ფაშისტი აგრესორების, მილიტარისტი*

[1] იგივე დენ სიაოპინი. აქაც და სხვაგანაც გათვალისწინებულია „ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები“ (ჯიბლაძე et al. 2019-2020).

[2] „Поворот на Восток“ - რუსეთის მიერ გამოცხადებული კურსი აღმოსავლეთისაკენ, რაც გულისხმობს როგორც საკუთრივ რუსეთის აღმოსავლეთი ნაწილის განვითარებას, ასევე ურთიერთობების გაღრმავებას ე.წ. „არადასავლეთთან“, ე.ი. აღმოსავლეთის ქვეყნებთან, ძირითადად, რა თქმა უნდა, ჩინეთთან.

[3] 2007 წლიდან რუსეთს შეწყვეტილი ჰქონდა ჩინეთთან მოწინავე სამხედრო ტექნიკით ვაჭრობა.

[4] მაგალითად, «ВОСТОК-2018“, რომელიც შორეულ აღმოსავლეთში გაიმართა და სსრკ-ს დაშლის შემდეგ ყველაზე ფართომასშტაბური სამხედრო წვრთნები იყო.

დამპყრობლების და მათი თანამზრახველების სისასტიკეზე პასუხისმგებლობის მოხსნას და გამარჯვებული ქვეყნების ღირსების შელახვას (“Совместное заявление” 2022).

ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა სხვა მნიშვნელოვანი სამთავრობათშორისო, ენერგეტიკული და ა.შ. ხელშეკრულებებიც. თავმჯდომარე სიმ გამოთქვა სურვილი მიმდინარე წელს ტვირთბრუნვის მოცულობის $240 მლრდ-მდე გაზრდის შესახებ, რაც, ფაქტობრივად, წინა წლის მოცულობის გაორმაგებას ნიშნავს (“Российско-китайские переговоры” 2022).

ჩინეთი დაეთანხმა იმას, რომ რუსეთმა უნდა მიიღოს უსაფრთხოების გარკვეული გარანტიები ევროპულ სამეზობლოში. ორივე ქვეყანა ეწინააღდეგება ნატოს გაფართოებას და, ასევე, აშშ-ის და მისი პარტნიორების გააქტიურებას წყნარი ოკეანის რეგიონში. საერთო ინტერესებისა და საფრთხეების გაზიარება, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთი და ჩინეთი ალიანსს წარმოადგენენ. პეკინში კარგად ესმით, რომ მათი ეკონომიკა დიდწილად დასავლეთზეა დამოკიდებულია და ე.წ. „სავაჭრო ომის“ შედეგები ჯერ კიდევ ბოლომდე არ აღმოფხვრილა. დასავლეთის წინააღმდეგ კონფლიქტში რუსეთის მხარეს ჩაბმა ჩინეთისათვის აბსოლუტურად არაპრაგმატული ნაბიჯი იქნებოდა. ტერიტორიული მთლიანობა ჩინეთისათვის საერთაშორისო ურთიერთობების უმთავრესი პრინციპია, ამიტომ ჩინეთი არ აღიარებს აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას და არც რუსეთს მისცა უფლება, რომ ამ მხრივ გავლენა მოეხდინა ცენტრალური აზიის ქვეყნებზე (Kaczmarski, Katz and Tilikainen 2018, 27). ოფიციალურ დონეზე ჩინეთი დღემდე აღიარებს ყირიმს და უკარინის სხვა ოკუპირებულ და ანექსირებულ რეგიონებს უკრაინის განუყოფელ ნაწილად.

ამასთანავე, 2022 წლის 23 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა ქალბატონმა ხუა ჩუნინგმა ხაზი გაუსვა იმას, რომ შეუძლებელია პარალელის გავლება თაივანსა და უკრაინას შორის, რადგანაც თაივანი წარმოადგენს ჩინეთის განუყოფელ ნაწილს, ხოლო უკრაინა არის დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო. თუმცა მან არაერთხელ გაუსვა ხაზი კონფლიქტის ესკალაციაში დასავლეთის პასუხისმგებლობასა და უკრაინა-რუსეთის ურთიერთობების განსაკუთრებულ ისტორიულ ფონსა და პირობებს (MFA of China 2022, February 23).

როდესაც გაეროში დაიგმო რუსეთის უკრაინაში შეჭრა, ჩინეთმა არ დაუჭირა მხარი რუსეთს, თუმცა არც რეზოლუციას შეუერთდა[5], მან ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა. პირველ მარტს უკრაინული მხარის ინიციატივით შედგა პირველი სატელეფონო საუბარი ორი ქვყნის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის, რომლის დროსაც ვანგ იმ აღნიშნა, რომ ჩინეთი მხარს უჭერს ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს და, ასევე, ხაზი გაუსვა იმას, რომ რეგიონის უსაფრთხოება შეუძლებელია მიღწეულ იქნეს სამხედრო ბლოკების გაფართოებისა და სხვა ქვეყნების უსაფრთხოების ხარჯზე (MFA of China 2022, March 01). ამდენად, აქაც, ისევე როგორც სხვაგან ჩინეთმა მაქსიმალურად *დაბალანსებული* პოზიცია შეინარჩუნა.

ექსპერტთა ნაწილის აზრით, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრა ჩინეთისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა. ერთის მხრივ, ჩინეთის მოსახლეობის დიდ ნაწილში ამას დადებითი შეფასება მოჰყვა, რადგანაც მასებში რუსეთი აღიქმება როგორც დასავლურ ჰეგემონიასთან მებრძოლი ძალა, რომლის პოზიციები ბევრი მხრივ ესადაგება ჩინეთისას. მეორეს მხრივ, ჩინეთის ხელისუფლებამ, როგორც წესი, მოზომილი და ფრთხილი პოზიცია დაიჭირა. პეკინისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა დასავლეთის ასეთი ერთსულოვნებაც[6] და ომის გაჭიანურებაც - ნათელი გახდა, რომ რუსეთის სამხედრო პოტენციალი არასწორად იყო შეფასებული.

---

[5] ჩინეთში პირდაპირ არ საუბრობენ რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრაზე, არამედ იყენებენ სიტყვებს „კონფლიქტი“, „კრიზისი“, იშვიათად „ომი“ (“China’s Xi” 2022), თუმცა, არასოდეს არ ჩანს რომელი მხარეა აგრესორი.

[6] აშშ-თან „სავაჭრო ომის“ დროს ჩინეთისთვის მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის ნეიტრალური დამოკიდებულება. რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ, მთელი დასავლეთი, მიუხედავად ენერგოდამოკიდებულებისა, გაერთიანდა რუსეთის წინააღმდეგ. ექსპერტთა ნაწილის აზრით, ჩინეთისთვის ეს მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი ფაქტი აღმოჩნდა თაივანთან ურთიერთობაში.

საბოლოო ჯამში ჩინეთი ცდილობს ისარგებლოს ამ სიტუაციით. ის არ არღვევს სანქციებს, არ ერთვება პირდაპირ კონფრონტაციაში, არ აწვდის რუსეთს სამხედრო იარაღს, მეტიც, ჩინური სმარტფონების მწარმოებელი კომპანიები გაზაფხულიდან ნელ-ნელა ტოვებენ რუსულ ბაზარს. მაგალითად, კომპანია "Honor"-მა რუსული ბაზარი ჯერ კიდევ მარტში დატოვა, ხოლო "Huawei"-მ, "Lenovo"- მ და "Xiaomi"-მ ივნისიდან შეამცირეს საკუთარ წარმომადგენლობები რუსეთში. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიებს არავითარი ოფიციალური განცხადებები არ გაუკეთებიათ, ხოლო მათი წარმომადგენლები ამას მოთხოვნის კლებითა და დისტრიბუციის პრობლემებით ხსნიან (Strumpf 2022).

ამის პარალელურად, ჩინეთმა სერიოზულად გაზარდა რუსული ნავთობის შესყიდვები. მაისის თვის მონაცემებით, ჩინეთში ყოველდღიურად გემებით გადაზიდული ნავთობის რაოდენობამ 1,1 მლნ ბარელი შეადგინა, მაშინ როდესაც, პირველ კვარტალში მხოლოდ 750 ათასი ბარელი იყო. ნავთობის მაღალი ხარისხისა და ფასის შეღავათის გათვალისწინებით, ჩინეთი გეგმავს საკუთარი სტრატეგიული მარაგების შევსებასაც (Cho 2022).

ექვსჯერ გაიზარდა რუსული ნავთობის ექსპორტი ინდოეთში, რომელიც აქამდე მანძილისა და ფასის გამო თავს იკავებდა რუსეთის ნავთობის შესყიდვისაგან, თუმცა, რუსეთი იძულებულია დააწესოს სერიოზული შეღავათები, რითიც ინდოეთი ხეირობს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რუსული კომპანიები წაგებაშია, უბრალოდ, არსებული ფასების პირობებში, თეორიულად, ბევრად მეტი მოგების ნახვა შეეძლოთ.

ჩინეთში ნავთობის საზღვაო გზით ექსპორტირების ფარდობითი ნაკლებობა გამოწვეულია რამდენიმე მიზეზით: პირველი ის, რომ რუსეთსა და ჩინეთს შორის არსებობს ნავთობსადენი „აღმოსავლეთ ციმბირი-წყნარი ოკეანე", რომელიც სტაბილურად სრული დატვირთვით მუშაობს, ხოლო მეორე ის, რომ ჩინეთში ჯერ კიდევ საკმაოდ მკაცრი კოვიდშეზღუდვებია, ქვეყანა, ფაქტობრივად, ჩაკეტილია, შეზღუდულია გადაადგილება ქვეყნის შიგნითაც, რაც ბუნებრივად ამცირებს მოთხოვნას ნავთობზე. შეზღუდვების მოხსნის შემდეგაც არ არის ცალსახა, რომ ჩინეთი მასიურად მოახდენს რუსული ნავთობის იმპორტირებას. პეკინში მრავალი წლის განმავლობაში ზრუნავენ ენერგობაზრის დივერსიფიცირებაზე და არ სურთ ერთ მიმწოდებელზე დამოკიდებულების გაძლიერება. ამასთანავე, დიდი რაოდენობით რუსული ნავთობის შესყიდვას, შესაძლოა, დამატებითი გაღიზიანება მოჰყვეს დასავლეთში.

ნავთობისგან განსხვავებით ბევრად რთულია ვითარება ბუნებრივ აირთან მიმართებაში. მისი გადაზიდვა, ძირითადად, შესაბამისი ინფრასტრუქტურით ხდება, ხოლო რუსეთს, ევროპის გარდა მილსადენები მხოლოდ ჩინეთთან და თურქეთთან აკავშირებს. „ციმბირის ძალის" გაზსადენი კი მხოლოდ 2025 წლისთვის შეძლებს სრული დატვირთვისთ მუშაობას. ამდენად, სანქციების ამოქმედების შემდეგ, ჩინეთისა და თურქეთის წილი რუსული გაზის ექსპორტში გაიზარდა, თუმცა ექსპორტირებული ბუნებრივი აირის რაოდენობა შემცირდა.

ამ პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა უნდა გაგრძელებულიყო შანგხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სამიტის მსვლელობისას უზბეკეთში,რომელიც 15-16 სექტემბერს გაიმართა, თუმცა „ციმბირის ძალა 2"-ის საფუძვლიანი განხილვა არ მომხდარა, ისევე როგორც არ შედგა შეთანხმება რუსეთს, მონღოლეთსა და ჩინეთს შორის არსებული სხვადასხვა პროექტების შესახებ (Стогней 2022).

სამიტზე ვლადიმერ პუტინმა აღნიშნა, რომ მისთვის გასაგებია *შეშფოთება*, რომელსაც პეკინი გამოხატავს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და მადლობა გადაუხადა ჩინეთს *დაბალანსებული პოზიციისათვის*. ხაზი გაესვა ასევე სტრატეგიულ ყოვლისმომცველ პარტნიორობას, რომელიც არსებობს ორ ქვეყანას შორის. თავის მხრივ სი ძინფინგმა აღნიშნა, რომ სამყარო კოლოსალური ცვლილებების წინაშე დგას, და რუსეთი და ჩინეთი აქტიურ როლს უნდა ასრულებდნენ სიტუაციის დასტაბილურებაში ("Встреча с Председателем КНР" 2022).

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინეთისა და ინდოეთის პირველი პირები არ გამოჩენილან არაოფიციალურ შეხვედრაზე, რაც საკმაოდ მეტყველი ფაქტია. მიუხედავად ამისა, ჩინეთის

და რუსეთის ლიდერებმა გარკვეული ბენეფიტები მიიღეს ამ სამიტისაგან. პუტინისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ის ჯერ კიდევ ძლიერი მოთამაშეა, ხოლო სი ძინფინგისთვის მნიშვნელოვანი იყო საკუთარი პოლიტიკური წონის დემონსტრირება მოახლოებული მეოცე ყრილობის წინ.[7]

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში მნიშვნელოვნად შეცვალა საერთაშორისო-პოლიტიკური-ეკონომიკური-კულტურული ურთიერთობები, ბუნებრივია, ცვლილებები რუსეთისა და ჩინეთის ურთიერთობებსაც შეეხო. ე.წ. „მიბრუნება აღმოსავლეთისაკენ“ უპრეცედენტო ტემპით მიმდინარეობს. 5-8 სექტემბერს ვლადივოსტოკში გამართული აღმოსავლეთის ეკონომიკურ ფორუმზე, რომელსაც ჩინეთის ოფიციალური წარმომადგენელიც ესწრებოდა, ხშირად აცხადებდნენ, რომ *დასავლეთის დომინირების ეპოქა დასრულდა,* რომ სანქციები უმთავრესად ისევ დასავლეთს აზიანებს, რომ რუსეთისათვის აზიის (უმთავრესად ჩინეთის) სახით ახალი შესაძლებლობების ფანჯარა იხსნება და ა.შ. (Лазарев 2022). რეალობა სხვაგვარია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩინეთისათვის დასავლეთთან ეკონომიკური ურთიერთობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რუსეთთან. რუსეთი არ შედის ჩინეთის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების ხუთეულშიც კი (OEC n.d.). ჩინეთის სავაჭრო ბრუნვა აშშ-თან თითქმის ხუთჯერ უფრო მეტია, ვიდრე რუსეთთან. მსოფლიოს მეორე ეკონომიკისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია წვდომა მოწინავე ტექნოლოგიებთან, ხოლო ამ ტიპის პროდუქცია უმთავრესად დასავლეთიდან, კერძოდ, აშშ-დან მოდის და მისი ჩანაცვლება შეუძლებელია. რუსეთში იმედი ჰქონდათ, რომ ჩინური ტექნოლოგიები, მანქანები, ჩიპები, სმარტფონები და ა.შ. ჩაანაცვლებდა დასავლურს, მაგრამ ასე არ მოხდა. ჩინური კომპანიების ნაწილმა სრულად დატოვა რუსეთი, სანქციების გამო, ჩინური ბანკებიც იძულებული გახდნენ რომ შეეწყვიტათ რუსული პროდუქციის შესყიდვის დაფინანსება, გარდა ამისა, რუსული ბაზარი არ არის საინტერესო ჩინური კომპანიების ფართო სპექტრისთვის და რუსი ბიზნესმენებიც ნაკლებად იცნობენ ჩინური ბაზრის თავისებურებებს, რაც, ბუნებრივია, ართულებს და აჭიანურებს არასახელმწიფო დონეზე სერიოზული ბიზნეს და პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

რუსეთის მიერ ინიცირებული დედოლარიზაციის პოლიტიკა, ამ მოცემულობაში სხვას არაფერს ნიშნავ თუ არა იუენიზაციას. ჩინეთი და რუსეთი უკვე მრავალი წელია ცდილობენ ორმხრივ ვაჭრობაში ეროვნული ვალუტის აქტიურ გამოყენებას, და სანქციების პირობებში ამას მეტ-ნაკლებად ახერხებენ კიდეც, მაგრამ, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ არც იუენი და არც რუბლი არაა ისეთი მოქნილი ვალუტა როგორც დოლარი, რამაც, პერსპექტივაში, შესაძლოა, დამატებითი პრობლემები გამოიწვიოს.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩინეთისათვის რუსეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური პარტნიორია. უპირველეს ყოვლისა, ეს საერთო საზღვრის მქონე მეზობელი ქვეყნებია და ბუნებრივია, ჩინეთს ურჩევნია რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდეს, მითუმეტეს, რომ ორივე მათგანი წარმატებით თანამშრომლობს მნიშვნელოვან საერთაშორისო პლატფორმებზე - უშიშროების საბჭოში, შანგხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში, დიდ ოცეულში და ა.შ. რუსეთის ანტიდასავლური განწყობები ეხმიანება ჩინეთისას, რაც მათ პოლიტიკური თვალსაზრისით აახლოებს.

როგორც აღინიშნა, ჩინეთი არ ჩქარობს დასავლური სანქციებისთვის გვერდის ავლას. მართალია, ოფიციალური პეკინი სანქციებს არ უერთდება, და განცხადებებში ყოველთვის აფიქსირებს ზოგადად სანქციების არაეფექტურობას, მაგრამ ის იძულებულია გაითვალისწინოს არსებული რეალობა და რუსეთთან პარტნიორობა ამ სანქციების პირობებში გააგრძელოს.

ამავე მიზეზით შეჩერებული იყო სამხედრო პარტნიორობაც. მართალია, 18-19 სექტემბერს შედგა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის ნიკოლაი პატრუშევის ვიზიტი ჩინეთში,

[7] 16 ოქტომბერს გაიმართა ჩინეთის კომუნისტური პარტიის მეოცე კონგრესი, რომელზეც სი ძინფინგი მესამე ვადით აირჩიეს.

რის შემდეგაც სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავება დაანონსდა (“Putin Ally” 2022), მაგრამ, არსებულ ვითარებაში, ამ განცხადებას მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

უკრაინაში წარმოებული ომისა და დასავლეთთან არსებული მწვავე კონფრონტაციის ფონზე, „აღმოსავლეთისაკენ მიბრუნება“ აღარაა რუსეთის თავისუფალი არჩევანი - ის იძულებულია ორიენტირდეს ჩინეთზე, რომელიც კარგა ხანია „უფროს ძმად“ იქცა. ბოლო წლების განმავლობაში, ჩინეთი აშშ-სთვის ერთ-ერთ უმთავრეს ანტაგონისტად განიხილებოდა, რაც, აშშ-ს მიერ 2018 წლის „ბირთვული მდგომარეობის მიმოხილვის“ დოკუმენტში უკვე ასახულია (Office of the Secretary of Defense 2018). რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრა კი ჩინეთისაგან ყურადღების გადატანას შეუწყობს ხელს.

შეჯამებისათვის უნდა ითქვას, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრა ჩინეთისათვის სასურველ სცენარს არ წარმოადგენდა, თუმცაღა, ჩინეთი, უდავოდ, არის ამ სიტუაციის ბენეფიციარი. მისთვის მნიშვნელოვანია ურთიერთობების შენარჩუნება როგორც რუსეთთან, ასევე დასავლეთთან და უკრაინასთანაც. ჩინეთი წარმატებით იყენებს ჭოუ ენლაის მიერ შემუშავებულ პრინციპს - „ეძებო საერთო, მიუხედავად არსებული განსხვავებისა თუ პრობლემისა“ (ჯიბლაძე 2021, 4). უკრაინაშიც ესმით არსებული რთული მდგომარეობა და მიუხედავად ჩინეთის პოზიციის ამბივალენტურობისა არ ჩქარობენ მასთან ურთიერთობის დაძაბვას (ივანიაძე 2022, 11-12) ამდენად, ჩინეთი წარმატებით ახერხებს საკუთარი სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებას და ყველა მხარესთან თავისთვის სასარგებლო ურთიერთობის შენარჩუნებას. თავის მხრივ, იზოლაციაში მოქცეული რუსეთი სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული ჩინეთზე, რაც ექსპერტების ნაწილს საფუძველს აძლევს, რომ შეაფასონ ეს დამოკიდებულება როგორც ვასალური (Gabuev 2022).

გამოყენებული ლიტერატურა:

ივანიაძე, მედეა. 2022. “ჩინეთი - არანეიტრალური მხარე რუსეთ-უკრაინის ომში.” *Rondeli Foundation*. https://www.gfsis.org.ge/files/library/opinion-papers/181-expert-opinion-geo.pdf.

ვანგ, ჩენგცაი. 2010. *ახალი რუსეთის მიმოხილვა.* პეკინი: სინხუას გამომცემლობა. / 万, 成才. 2010. *新俄罗斯观察.* 北京: 新华版社.

ჯიბლაძე, მარინე, თინათინ ბოლქვაძე, ლიოუ ჩაო, ლიანგ ქუნგქუნგი, ნიკო ქელბაქიანი, მაკა თეთრაძე. 2019-2020. „ჩინური ენის მარცვალთა სისტემის ქართულ ენაზე ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესები.“ *სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. ბიულეტენი II:* 18-37. http://enadep.gov.ge/uploads/Bulletin_II_2019-2020.pdf.

ჯიბლაძე, მარინე. 2021. “ახალი ჩინეთის დიპლომატიური მიღწევები (1949-1979).” *თავისუფალი უნივერსიტეტის აზიური კვლევების ჟურნალი,* no. 3 (მარტი). თბილისი. https://journals.org.ge/index.php/asianstudies/article/view/85.

“China’s Xi: Beijing Supports Peace Talks between Russia, Ukraine.” *Aljazeera*, March 09, 2022. https://www.aljazeera.com/news/2022/3/9/chinas-xi-beijing-supports-peace-talks-between-russia-ukraine.

Cho, Sharon. 2022. “China Snaps Up Russia’s Far East Oil Even as Covid Saps Demand.” *Bloomberg,* May 23, 2022. https://www.bloomberg.com/news/articles/2022-05-23/china-snaps-up-russia-s-far-east-oil-even-as-covid-saps-demand?leadSource=uverify%20wall.

Gabuev, Alexander. 2022. “China’s New Vassal: How the War in Ukraine Turned Moscow Into Beijing’s Junior Partner.” *Foreign Affairs,* August 09, 2022. https://www.foreignaffairs.com/china/chinas-new-vassal.

Kaczmarski, Marcin, Mark N. Katz, and Teija Tilikainen. 2018. "The Sino-Russian and US-Russian Relationships: Current Development of Future Trends." In *The Government's Analysis, Assessment and Research Activities,* 69/2018, 1-80. Prime Minister's Office, 12.12.2018. https://julkaisut.valtioneuvosto.fi/bitstream/handle/10024/161208/69-2018-CHANGING%20GREAT%20POWER%20RELATIONS%20AND%20FINLAND.pdf.

Li, Mingjiang, and Angela Poh. 2019. "The Indispensable Partner: Russia in China's Grand Strategy." In *Sino-Russian Relations in the 21st Century*, Jo Inge Bekkevold and Bobo Lo (eds.), 21-39. Chame: Palgrave Macmillan.

Ministry of Foreign Affairs of People's Republic of China. 2022 (February 23). "Foreign Ministry Spokesperson Hua Chunying's Regular Press Conference on February 23, 2022." https://www.fmprc.gov.cn/mfa_eng/xwfw_665399/s2510_665401/202202/t20220223_10644886.html.

Ministry of Foreign Affairs of People's Republic of China. 2022 (March 01). "საგარეო საქმეთა მინისტრ კულებას ინიციატივით შედგა სატელეფონო საუბარი ვანგ ი-სთან." / 王毅应约同乌克兰外长库列巴通电话. http://switzerlandemb.fmprc.gov.cn/web/wjdt_674879/wjbxw_674885/202203/t20220301_10646886.shtml.

OEC. n.d. "China". Accessed 20.09.2022. https://oec.world/en/profile/country/chn#:~:text=Destinations%20In%20August%202022%2C%20China,and%20Australia%20(%2412.5B).

Office of the Secretary of Defense. 2018. *Nuclear Posture Review. February, 2018.* https://media.defense.gov/2018/Feb/02/2001872886/-1/-1/1/2018-NUCLEAR-POSTURE-REVIEW-FINAL-REPORT.PDF.

"Putin Ally Deepens Russia's 'Strategic Partnership' with China." *Reuters*, September 19, 2022. https://www.reuters.com/world/russia-china-agree-deepen-defence-cooperation-joint-exercises-interfax-cites-2022-09-19/?fbclid=IwAR1YCehTsSi51TODKfcz52mKHz_48hDpSmJZQ_ibZ9AIk-ib9XUXLcCq9sE.

Strumpf, Dan. 2022. "Chinese Tech Giants Quietly Retreat from Doing Business with Russia." *The Wall Street Journal,* May 06, 2022. https://www.wsj.com/articles/chinese-tech-giants-quietly-stop-doing-business-with-russia-11651845795.

Бажанов, Е. П. 2013. "От дружбы через конфронтацию к нормализации. Советско-китайские отношения с 1949 и до 1991 г." *Россия и Китай: четыре века взаимодействия. История, современное состояние и перспективы развития российско-китайских отношений.* Редактор А. В. Лукин, 217-298. Москва: Весь Мир.

"Встреча с Председателем КНР Си Цзиньпином." *Kremlin*, September 15, 2022. http://kremlin.ru/events/president/news/69356.

Лазарев, А. 2022. "Конец эпохи доминирования Запада и новые возможности для выгодного сотрудничества обсуждаются на ВЭФ." 1TV, September 06, 2022. https://www.1tv.ru/news/2022-09-06/437240-konets_epohi_dominirovaniya_zapada_i_novye_vozmozhnosti_dlya_vygodnogo_sotrudnichestva_obsuzhdayutsya_na_vef.

Путин, В. В. 2000. "Статья Президента России Владимира Путина "Россия: новые восточные перспективы". *Kremlin,* November 9, 2000. http://kremlin.ru/events/president/transcripts/21132.

"Российско-китайские переговоры." *Kremlin,* February 04, 2022. http://kremlin.ru/events/president/news/67712.

"Совместное заявление Российской Федерации и Китайской Народной Республики о международных отношениях, вступающих в новую эпоху, и глобальном устойчивом развитии." *Kremlin,* February 04, 2022. http://kremlin.ru/supplement/5770.

Стогней, А. 2022. “Подсуетившийся Дели, затаившийся Пекин: как на самом деле выглядит разворот России на Восток.” *BBC*, September 11, 2022. https://www.bbc.com/russian/features-62894100.